



საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის
დაგეგმარების განყოფილების უფროსს
ქალბატონ მარინა თედიაშვილს

მიმდინარე წლის 30 იანვრის N291-02 წერილის პასუხად, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 87-ე მუხლის დ) პუნქტის თანახმად, გაცნობებთ, რომ 2018 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების პროცენტული მაჩვენებლები დაბალია ჩვენი სამსახურის კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამით გათვალისწინებულ ხარჯებში. აქ, წლის დასაწყისში, დამტკიცებული ხარჯი გახლდათ **121.800 (ასოცდაერთი ათას რვაასი) ლარი**, საიდანაც კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობის ხარჯებში გათვალისწინებული იყო **71.800 (ოცდათერთმეტი ათას რვაასი) ლარი**, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში - კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვისა და მოვლის ხარჯები: **50.000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი**.

მოგვიანებით, დაზუსტებული ბიუჯეტით, კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამით გათვალისწინებული ხარჯი იყო **62.775 (სამოცდაორი ათას შვიდას სამოცდათხუთმეტი) ლარი**. აქედან კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობის ხარჯები - **42.150 (ორმოცდაორი ათას ასორმოცდაათი) ლარი**, არაფინანსურ აქტივებში - კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვისა და მოვლის ხარჯები - **20.625 (ოცი ათას ექვსას ოცდახუთი) ლარი**.

კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობის ხარჯებიდან გაიხარჯა:

- მუნიციპალიტეტის 12 სოფელში არსებული ახალგაზრდული კლუბების ინტერნეტის ხარჯი (კავშირგაბმულობის) - **12.011.50 (თორმეტი ათას თერთმეტი ლარი, 50 თეთრი)**;
- ენის დღისადმი მიძღვნილი ნატო გელაშვილის კონცერტის ხარჯი - **3.999 (სამი ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარი**;
- ესპანური მუსიკის კონცერტი, ტარიელ სუარი - **1.000 (ერთი ათასი) ლარი**;
- თელავში, ფესტივალის „აღდგომიდან ამაღლებამდე“ თანადაფინანსების ხარჯი, თელავის თეატრს - **400 (ოთხასი) ლარი**;
- ანსამბლ „მი რე ლა“-ს (ხელოვნების სკოლა „მი რე ლა“, ხელმძღვანელი: მარინა ურდულაშვილი) წამახალისებელი ჯილდოს სახით ჩაერიცხა - **1.000 (ერთი ათასი) ლარი**;
- თელავში გამართულ „ჭაჭის ფესტივალში“ მუნიციპალიტეტის მონაწილეობისთვის, საქართველოს კულტურის პალატას გადაერიცხა - **2.250 (ორი ათას ორას ორმოცდაათი) ლარი**;
- მერიის ოფისისთვის, საახალწლო ნაძვის ხე და აქსესუარები (განათება, სათამაშოები) - **900 (ცხრაასი) ლარი**, რომელიც ტენდერებიდან მორჩენილი თანხით შეივსო და სულ დაიხარჯა: **1.060.45 (ერთი ათას სამოცი ლარი, 45 თეთრი)**.

სულ: 21.720.95 (ოცდაერთი ათას შვიდას ოთხმოცდაათი ლარი, 95 თეთრი) ლარი.

დარჩა ასათვისებელი: 41.054.05 (ორმოცდაერთი ათას ორმოცდაათოთხმეტი ლარი, 05 თეთრი) ლარი.

თუმცა, გარდა ამისა, 2018 წლის ბოლოს დაფინანსდა რამდენიმე ღონისძიება, რომელთა ხარჯების

გადარიცხვები შესრულდა ან/და შესრულდება 2019 წელს, კერძოდ:

1. საახალწლო კონცერტი – 12.213 (თორმეტი ათას ორას ცამეტი) ლარი (ტენდერისთვის გათვალისწინებული თანხა: 15.000 (თხუთმეტი ათასი) ლარი; ეკონომია: 2.787 (ორი ათას შვიდას ოთხმოცდაშვიდი) ლარი); თანხა ჩაირიცხა 2019 წელს;

2. ფეიერვერკი - 2.000 (ორი ათასი) ლარი; თანხა ჩაირიცხა 2019 წელს;

სულ: 14.213 (თოთხმეტი ათას ორასცამეტი) ლარი;

საახალწლო ღონისძიებების ზემოაღნიშნული ტენდერი შედგა 2018 წლის დეკემბერში და პარტნიორ დაწესებულებებთან სათანადო დოკუმენტაციის გაფორმება განხორციელდა დეკემბრის ბოლო რიცხვებში, ანუ იმ პერიოდში, როდესაც სახელმწიფო ხაზინამ შეაჩერა დოკუმენტაციების მიღება. ამის გამო, 2018 წელს ვალდებულებით აღებული თანხების ჩარიცხვა განხორციელდა 2019 წელს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2018 წლის ბოლოს აუთვისებელი თანხიდან 41.054.05 (ორმოცდაერთი ათას ორმოცდაათოთხმეტი ლარი, 05 თეთრი) ლარი, რეალურად აუთვისებელი დარჩა:

ა) საქონელი და მომსახურების მუხლში: 4.785.05 (ოთხი ათას შვიდას ოთხმოცდახუთი ლარი, 05 თეთრი) ლარი; აქედან, ტენდერიდან ეკონომია: 2.787 (ორი ათას შვიდას ოთხმოცდაშვიდი) ლარი);


ბ) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში: 20.056 (ოცი ათას ორმოცდათექვსმეტი) ლარი.

დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებულ კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობის არაფინანსური აქტივების ხარჯებში დარჩენილი თანხა - 20.056 (ოცი ათას ორმოცდათექვსმეტი) ლარი, წლის დასაწყისშივე იყო გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ძეგლების სამშენებლო-სარეაბილიტაციო პროექტების შესაძენად, რაც, სამწუხაროდ, ვერ განხორციელდა, ჩვენგან დამოუკიდებელ სხვადასხვა მიზეზთა გამო.

ამას გარდა, ნაკლები იყო გარედან შემოთავაზებული კულტურული ღონისძიებები, რომელთა ფინანსური უზრუნველყოფისთვის, მუნიციპალიტეტის 2018 წლის დაზუსტებულ ბიუჯეტში, გათვალისწინებული იყო გარკვეული ხარჯი.

პატივისცემით,

არჩილ ჯაბადარი



პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახური